საიდ. N82339/03

IR 1155367

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N98-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), თ. ჯაფარიძე, უ. ოშხნელი, თ. კევლიშვილის მდივნობით განიხილა კომპანიის „ეგე სერამიკ სანაი ვე ტიკარეტ ანონიმ შირკეტი“ (EGE SERAMİK SANAYİ VE TİCARET ANONİM ŞİRKETİ) N98-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური

საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 17 მარტის N861/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს „EGESERAMIK“ (საიდ. N82339/03, IR1155367) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-19 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ და აღნიშნული ნიშნისთვის დაცვის მინიჭება საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-19 და 35-ე კლასები).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 17 მარტის N861/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „EGESERAMIK“ (საიდ. N82339/03, IR1155367) ნაწილობრივ უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე, ვინაიდან მსგავსია საქპატენტში კომპანიის „ეგეტეპერ ა/ს“ (Egetæpper A/S) სახელზე 27-ე კლასის მსგავსი საქონლის ჩამონათვალისათვის საქართველოზე გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნისა: „EGE“ (IR 1018055, საერთ. რეგ. თარიღი: 2009-09-23). დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები შესრულებულია ლათინური ანბანით. განცხადებულ ნიშანში სიტყვიერი ნაწილი „SERAMIK“, რაც თურქული ენიდან ქართულად ითარგმნება, როგორც „კერამიკა“, განცხადებული კლასისთვის წარმოადგენს დაცვისუუნარო ელემენტს. დაპირისპირებული ნიშნების შედარებისას უნდა შედარდეს სიტყვიერი

ნაწილი „EGE“ და „EGE“. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი შეიცავს გამოსახულებით ელემენტს, აღნიშნული ნიშანს ვერ სძენს საკმარის განმასხვავებლობას. განცხადებული ნიშნის დაცვა მოითხოვება მე-19 და 35-ე კლასების საქონლის ჩამონათვალის მიმართ. მე-19 კლასში წარმოდგენილი საქონლის ნაწილი, კერძოდ, „Tiles, not of metal, for building; tiles for floor and wall coverings, ceramic tiles, granite tiles“ (არალითონური სამშენებლო ფილები, ფილები იატაკის და კედლის დასაფარად, კერამიკის ფილები, გრანიტის ფილები), მსგავსია დაცული სასაქონლო ნიშნის 27-ე კლასში მითითებული საქონლისა „linoleum“ (ლინოლეუმი). მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული ნიშნების საქონლის ჩამონათვალი განცხადებულია სხვადასხვა კლასებში, განცხადებული საქონლის ჩამონათვალი დაპირისპირებული ნიშნის საქონლის ჩამონათვლის აღრევამდე მსგავსია. მათ ერთი და იგივე დანიშნულება აქვთ და განკუთვნილია მშენებლობისათვის. საერთოა მათი რეალიზაციის ადგილიც, რაც ზრდის ნიშნებს შორის აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო, განცხადებულ ნიშანს „EGESERAMIK“ (საიდ. N82339/03, IR1155367) „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მიენიჭა დაცვა 35-ე კლასის სრული და მე-19 კლასის განცხადებული საქონლის ნაწილის მიმართ.

აპელანტი კომპანია „ეგე სერამიკ სანაი ვე ტიკარეტ ანონიმ შირკეტი“ (EGE SERAMİK SANAYİ VE TİCARET ANONİM ŞİRKETİ) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, სასაქონლო ნიშნისთვის „EGESERAMIK“ (საიდ. N82339/03, IR1155367) დაცვის მინიჭება არ ეწინააღმდეგება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონს, ვინაიდან არ არსებობს ამავე კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შედარებითი საფუძველი.

აპელანტის პოზიციით, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი განსხვავდება ვიზუალური, ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით.

აპელანტის განმარტებით, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი ითვალისწინებს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებით საფუძვლებს, ხოლო ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განმცხადებელს შეიძლება უარი ეთქვას ნიშნის რეგისტრაციაზე თუ იგი: „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

აპელანტი მითითებით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია. ნიშნის გამოსახულებითი ნაწილი წარმოდგენილია ღია ნაცრისფერი ჰორიზონტალური მართკუთხედის სახით, რომელზეც განლაგებულია ნიშნის სიტყვიერი ნაწილი - „EGESERAMIK“. სიტყვიერი ნაწილი შესრულებულია ორიგინალური შრიფტით, ლათინური ანბანის ლურჯი ფერის ასომთავრული ასოებით, რომელშიც პირველი 3 ასო შესრულებულია განსხვავებულად. სიტყვიერი ნაწილის მარცხნივ გამოსახულია გრაფიკული ელემენტი, რომელიც კომპანიის საფირმო ლოგოტიპს წარმოადგენს. მოცემული გრაფიკული გამოსახულება წარმოდგენილია წითელი ფერის რომბისებრი ფიგურის სახით, რომლის კონტურიც ამავდროულად შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც ლათინური ასოები: „e“ და „g“. ნიშნის სიტყვიერი ნაწილების და გამოსახულების კონტრასტულობა ნიშნის ორიგინალურ კომპოზიციას ქმნის, რაც განაპირობებს მომხმარებლის ყურადღების კონცენტრაციას გრაფიკულ ელემენტზე.

აპელანტის განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელი კომპანია თურქულ კომპანიას წარმოადგენს, თურქული ენის კითხვის წესების შესაბამისად, გაცხადებული ნიშანი გამოითქმის შემდეგნაირად: „ე-გე-სე-რა-მიკ“. ნიშანი შედგება ერთი სიტყვისგან, 5 მარცვლისგან (4 ღია, 1 დახურული), 10 ბგერისაგან (5 ხმოვანი, 5 თანხმოვანი). მახვილი მე-2 და მე-5 მარცვლებზე ეცემა.

მარცვლების დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, გაცხადებული აღნიშვნა წარმოთქმება რიტმულად და ხანგრძლივად.

სემანტიკური თვალსაზრისით, გაცხადებული სასაქონლო ნიშანი განმცხადებელი კომპანიის „EGE SERAMİK SANAYİ VE TİCARET ANONİM ŞİRKETİ“ საფირმო დასახელების დისტინქტიურ ნაწილს წარმოადგენს, აღნიშნულის გათვალისწინებითაც, განცხადებული ნიშანი უშუალოდ ასოცირდება განმცხადებელ კომპანიასთან, მის საქონელთან და მომსახურებასთან მთლიანობაში.

აპელანტის განმარტებით, განმცხადებელი კომპანია „ეგე სერამიკ სანაი ვე ტიკარეტ ანონიმ შირკეტი“ (EGE SERAMİK SANAYİ VE TİCARET ANONİM ŞİRKETİ) 1972 წელს დაარსდა თურქეთში და კერამიკის, კერძოდ, იატაკის და კედლის ფენილებისთვის კერამიკული ფილების, ასევე სააბაზანოსა და სამზარეულოსთვის კერამიკული აქსესუარების ერთ-ერთ წამყვან მწარმოებელს წარმოადგენს მსოფლიოში. კომპანიის კონცეფციას ხარისხიანი პროდუქციის წარმოება წარმოადგენს, რომელსაც მომხმარებელი პატივს სცემს და რომელიც კომფორტის ყველა თანამედროვე მოთხოვნას პასუხობს. კომპანიის სრულ პროდუქციას ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატი ISO-9001 აქვს, რაც საშუალებას აძლევს განახორციელოს პროდუქციის გაყიდვა მთელს მსოფლიოში. გარდა ამისა, განმცხადებლის საქონელი ხარისხის ევროპული სერტიფიკატის EN-176 BI მფლობელია. პროდუქციის მაღალი ხარისხის წყალობით, განმცხადებელი კომპანია საუკეთესოთა რიგებშია თავის სფეროში და იქცა სამრეწველო გიგანტად. ბრენდმა „EGESERAMIK“ მოიპოვა ცნობადობა და აღიარება მომხმარებელთა შორის მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რაც გამორიცხავს სხვა მწარმოებლების პროდუქციასთან და ბრენდებთან აღრევის შესაძლებლობას. დღეისათვის კომპანია „ეგე სერამიკ სანაი ვე ტიკარეტ ანონიმ შირკეტი“ (EGE SERAMİK SANAYİ VE TİCARET ANONİM ŞİRKETİ) კერამიკის მწარმოებელთა მსოფლიო ათეულში შედის. კერამიკული ფილა „EGESERAMIK“ მსოფლიოს ორმოცდაათზე მეტ ქვეყანაშია წარმოდგენილი, მათ შორის საქართველოშიც. 2014 წლიდან 2016 წლის ჩათვლით კომპანიამ „ეგე სერამიკ

სანაი ვე ტიკარეტ ანონიმ შირკეტი“ (EGE SERAMİK SANAYİ VE TİCARET ANONİM ŞİRKETİ) 71 767 აშშ დოლარის ღირებულების საქონლის მიწოდება განახორციელა საქართველოს ტერიტორიაზე, რაც კომპანიის ბაზარზე ხანგრძლივ არსებობასა და ბრენდის პოპულარობას ადასტურებს.

აპელანტის პოზიციით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი სიტყვიერ აღნიშვნას წარმოადგენს, რომელიც სტანდარტული შავი შრიფტითაა შესრულებული. ნიშანი 3 ასოსაგან შედგება, რაც მთლიანობაში, მარტივ და ლაკონურ სახეს სძენს მას. დაპირისპირებული ნიშნის ზემოხსენებული თავისებურებები მნიშვნელოვნად განასხვავებს მას გაცხადებული ნიშნისაგან, უფრო მეტიც, ვიზუალური აღქმის კუთხით, მომხმარებლების ყურადღება თანაბრადაა გადანაწილებული ყველა ასო-ელემენტს შორის, რაც დაპირისპირებულ ნიშანში გრაფიკული ცენტრის არ არსებობაზე მიუთითებს. ამდენად ნიშნები განსხვავებულია ვიზუალური თვალსაზრისით. დაპირისპირებული ნიშანი დანიური ენის კითხვის წესების შესაბამისად, იკითხება, როგორც: „ი-ია“. ნიშანი შედგება ორი ღია მარცვლისგან, 3 ბგერისგან (2 ხმოვანი, 1 თანხმოვანი), რომელშიც მახვილი ხმოვან ბგერაზე ეცემა. მომხმარებლებისთვის, რომლებიც არ ფლობენ დანიურ ენას, მოცემული ნიშანი შესაძლოა აღქმული იქნეს შემდეგნაირად: „ი-ჯე“. ნიშანი შესდგება ორი ღია მარცვლისგან, 4 ბგერისგან (2 ხმოვანი, 2 თანხმოვანი), რომელთაგან მახვილი ხმოვან ბგერას „ე“ ეცემა. ორივე შემთხვევაში, დაპირისპირებული ნიშნის ფონეტიკა მოკლე და ლაკონურია, რაც მნიშვნელოვანწილად განასხვავებს მას გაცხადებული ნიშნისგან. უფრო მეტიც, როგორც ვხედავთ, განცხადებულ და დაპირისპირებულ ნიშნებს მარცვლების, ასევე ხმოვანი და თანხმოვანი ბგერების აბსოლუტურად განსხვავებული შემადგენლობა აქვთ.

აპელანტის განმარტებით, ნიშნები განსხვავებულია სემანტიკური თვალსაზრისით. დაპირისპირებული ნიშნის მფლობელი კომპანიის „ეგეტეპერ ა/ს“ (Egetæpper A/S) საფირმო დასახელების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც ორი სიტყვის - „Ege“ და „tæppe“ შერწყმითაა მიღებული - „Ege“ (ჩხირი) და „Tæppe“

(ხალიჩა, გადასაფარებელი, პატარა ხალიჩა). ამგვარად, კომპანიის სახელწოდებიდან გამომდინარე, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი ქმნის ასოციაციას ხალიჩების წარმოებასთან და მათ კერვასთან.

აპელანტის მითითებით, დაპირისპირებული ნიშნის მფლობელი კომპანია ხარისხიანი ტექსტილის მწარმოებელი კომპანიაა, რომელიც 1938 წელს დაარსდა დანიაში. მოცემული საწარმო თავის სპეციალიზაციას დიზაინერული ხალიჩებისა და ხალიჩების ფენილების წარმოებაზე ახორციელებს. კომპანიის კონცეფციას არა უბრალოდ ხარისხიანი პროდუქციის წარმოება, არამედ ინტერიერისთვის, ყველა შესაძლო ხალიჩების და საფარდაგე ქსოვილების სახით, მზა გადაწყვეტილებები წარმოადგენს.

აპელანტის განმარტებით, ნიშნები არსებითად განსხვავება გრაფიკული, ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით, ასევე საერთო შთაბეჭდილებით.

აპელანტის განმარტებით, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები დიდი ხნის მანძილზე თანაარსებობენ ბაზარზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 17 მარტის N861/03 ბრძანების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს „EGESERAMIK“ (საიდ. N82339/03, IR1155367) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-19 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ და საერთაშორისო კომბინირებული სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებას საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-19 და 35-ე კლასები).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. N98-03/16) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი - იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2014 წლის 19 აგვისტოს N05 ბრძანებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „სიმბოლოების მსგავსების დადგენის ძირითადი კრიტერიუმი შეიძლება იყოს სიმბოლოების სმენითი (ფონეტიკა, მუსიკალური ჟღერადობა), მხედველობითი (გრაფიკა, ფერთა შეხამება), აზრობრივი (სემანტიკა, არსი) მსგავსება. სიმბოლოების შედარებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთო შთაბეჭდილებას“. ამასთან, ნიშნების შედარებისას მხედველობაში მიიღება ნიშნის დაცვისუნარიანი და დომინანტი ელემენტები.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი (საიდ. N82339/03, IR 1155367) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „EGE“ (IR 1018055, საერთ. რეგ. თარიღი: 2009-09-23) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალურად, ასევე ფონეტიკური თვალსაზრისით.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს, რომელიც შედგება ციფერ ფერში შერულებული სიტყვიერი ნაწილისაგან

„EGESERAMIK”, რომლის წინ დატანილია ვარდისფერ ფერში შესრულებული რომბის გამოსახულება. ამასთან, სიტყვიერი ნაწილი „SERAMIK” წარმოადგენს სიტყვის „კერამიკა“, თარგმანს შესაბამისად მე-19 კლასის საქონლისათვის იგი არ ექვემდებარება დამოუკიდებელ სამართლებრივ დაცვას და შესაბამისად ნიშნების შედარებისას არ იქნა მხედველობაში მიღებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნიშნებს შორის მსგავსების დადგენის მიზნით უნდა შედარდეს აღნიშვნები „EGE“ და „EGE“, რომლებიც აღრევამდე მსგავსია. განცხადებული ნიშანი, მართალია კომბინირებულია და შეიცავს ვარდისფერი რომბის გამოსახულებას, მაგრამ ნიშანში დომინანტი ელემენტია სიტყვიერი აღნიშვნა „EGE“, რომელზეც მოდის ნიშნის განმასხვავებლობის ძირითადი დატვირთვა, რაც დაპირისპირებული ნიშნის „EGE“ მსგავსია. ამასთან, ნიშანში მარტივი გეომეტრიული ფიგურის გამოსახულების არსებობა ვერ სძენს მას საკმარის განმასხვავებლობას.

ნიშნებს აქვთ იდენტური ჟღერადობა, ვინაიდან ქართველი მომხმარებლის მიერ დაპირისპრიებული ნიშნები გამოითქმის იდენტურად, როგორც „ეგე“. მსგავსია ასევე, მე-19 კლასის საქონლის ჩამონათვალი. კერძოდ განცხადებული ნიშნისათვის დაცვის მინიჭება მოითხოვება მე-19 კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვლისათვის: „Tiles, not of metal, for building; tiles for floor and wall coverings, ceramic tiles, granite tiles“ (არალითონური სამშენებლო ფილები, ფილები იატაკის და კედლის დასაფარად, კერამიკის ფილები, გრანიტის ფილები), ხოლო დაპირისპირებული ნიშანი დაცულია მე-19 კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვლისათვის „ხალიჩები, ხალიჩები, რომლებიც მთლიანად ფარავენ იატაკს, ნოხის ქვეშსადები, ფეხსაწმენდები, ნოხები, ჭილობები, ლინოლეუმი, ხალიჩის ფილები და სხვა მასალა რომელიც განკუთვნილია იატაკისდასაფარად;კედლის მოსაფარდაგებელი მასალა (ქსოვილისაგან დამზადებუ ლის გარდა)“. დაპირისპრიებული ნიშნების საქონელი მათი ხასიათის და დანიშნულების მიხედვით წარმოადგენს ერთგვაროვან საქონელს. კერძოდ, ორივე საქონელი დაკავშირებულია იატაკის მოპირკეთებასთან, შესაბამისად რემონტთან და მშენებლობასთან. მათ ჰყავთ საერთო მომხმარებელი, კერძოდ ადამიანი, რომელიც

აკეთებს რემონტს და სურს იატაკის მოპირკეთება. დაპირისპირებული ნიშნების საქონელს აქვთ ასევე, ერთი და იგივე სარეალიზაციო ადგილი, რაც ზრდის ნიშნებს შორის მსგავსებას და შესაბამისად მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „EGESERAMIK“ (საიდ. N82339/03, IR1155367) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ეგე სერამიკ სანაი ვე ტიკარეტ ანონიმ შირკეტი“ (EGE SERAMİK SANAYİ VE TİCARET ANONİM ŞİRKETİ) N98-03/16 სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალში დარჩეს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 17 მარტის N861/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: თ. ჯაფარიძე

უ. ოშხნელი